გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№131 (25.011) ხუთშაბათი, 1 - 2 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 16 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

## კრიალოსანიუსი

გერმანიას განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი როლი აქვს ევროპულ გზაზე საქართველოს წინსვლაში, - განაცხადა გერმანიაში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. მისი თქმით, გერმანიის კანცლერის სიტყვები, რომ ერთიანი ევროპა ნიშნავს ევროპას ლისაბონიდან თბილისამდე, გვაჩვენებს, თუ რამდენად მკაფიოა გერმანიის ხედვა საქართველოს ევროპულ ოჯახში სრულუფლებიან წევრობაზე. „ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი გზავნილია, თუმცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები წინ არის და ამ პროცესში ჩვენ გერმანიის იმედი ნამდვილად გვაქვს“, - აღნიშნა პაპუაშვილმა საქართველო-გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

* * *

ნატო და მისი მოკავშირეები საქართველოს განიხილავენ და ესაუბრებიან არა როგორც მხოლოდ სანდო პარტნიორს, არამედ როგორც ალიანსის მომავალ წევრ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განმტკიცების არა მხოლოდ სურვილი, არამედ შესაძლებლობაც, - ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაიამ განაცხადა. ამასთან, მისი თქმით, „ნატოში ინტეგრაცია არის ჩვენი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი და ქართული საზოგადოების ღირებულებებზე დაფუძნებული არჩევანი“.

* * *

ვენეციის კომისიაში ამ კანონპროექტის გაგზავნის მიზეზი იყო თხოვნა, რომელიც ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის მხრიდან საჯაროდ მოვისმინეთ. მისი რეკომენდაცია იყო ამ დოკუმენტის ვენეციის კომისიაში გაგზავნა. ასევე შეხვედრა გვქონდა ევროკავშირის ახლად დანიშნულ ელჩთან და ასეთი თხოვნა მისგანაც მოვისმინეთ, - განაცხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის შესახებ საუბრისას. მისი თქმით, ამ დოკუმენტის ვენეციის კომისიაში გაგზავნა საერთოდ არ იყო საჭირო, მაგრამ მმართველმა გუნდმა თხოვნა გაითვალისწინა.

* * *

მომავალი ორი თვის განმავლობაში პურის ფასის ცვლილება მოსალოდნელი არ არის, რაც ფქვილის ფასის სტაბილურობით არის განპირობებული, - აცხადებს „პურის მცხობელთა ასოციაციის“ თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე. „მასობრივი მოხმარების პურის ღირებულება 1,50-2 ლარის ფარგლებშია. საქართველოში რომ პურ-პროდუქტებზე დაბალი ფასებია, ასეთი არც აზერბაიჯანში, არც სომხეთში და არც რუსეთშია“, - აღნიშნავს დოლიძე.

მოამზადა
ია შველიძემ

# ისტორიული პროექტი მალე დასრულდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*ხულო-ზარზმის საავტომობილო მაგისტრალის ისტორიული პროექტის განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს. ეწყობა ასფალტ-ბეტონის საფარი, შენდება ხიდები და ხელოვნური ნაგებობები. წელს დასრულდება გზის 10-კილომეტრიანი მონაკვეთი, ხოლო მთლიანი 47-კილომეტრიანი გზის მშენებლობის დასრულება 2023 წელს იგეგმება*



ხულო-ზარზმის განახლებული გზა დიდ შესაძლებლობებს გაუჩენს როგორც მთიან აჭარას, ისე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობას, კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება კურორტი გოდერძი და ტურიზმი მაღალმთიან აჭარაში.

ორი რეგიონის დამაკავშირებელი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის, ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეკონსტრუქციის სამუშაოები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა მოინახულეს.



გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 3 მონაკვეთადაა დაყოფილი, სადაც, საერთო ჯამში, 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება. ამ ეტაპზე პირველ და მეორე მონაკვეთებზე, მთლიანობაში - 42 კილომეტრზე, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს. ამ მონაკვეთებზე დაგეგმილი სამუშაოების საერთო ღირებულება 95,6 მილიონ ლარს აღემატება. მეორე მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოების დასრულება წლის ბოლოსთვის, ხოლო მთლიანი 47-კილომეტრიანი გზის მშენებლობის დასრულება 2023 წლისთვის იგეგმება.

ხულო-ზარზმის განახლებული გზა სამცხე-ჯავახეთსა და აჭარას ერთმანეთთან უმოკლესი გზით დააკავშირებს, რომელიც რთულ გეოგრაფიულ და გეოლოგიურ რელიეფზე გადის.

ხულო-ზარზმის გზის პირველ მონაკვეთზე სამუშაოები ქუვეითის ფონდის მხარდაჭერით, ხოლო მეორე და მესამე მონაკვეთებზე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს.



## გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი ნარინჯისფერი კამპანია გრძელდება 2

## მირდატ ქამადაძე: ამ პროცესიდან პარტია გაძლიერებული გამოვა 3

## «არც დედამიწას დავტოვებდი და არც დედამიწაზე - საქართველოს» 4

## ბედნიერებაა, იყო შენი ქალაქის რჩეული 7





## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



# მთავრობის სხდომა და სამინისტროებში სისტემური სტაჟირების ინიციატივა

***აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა, რომელიც რესპუბლიკური ბიუჯეტის თემის განხილვით დაიწყო***

თორნიკე რიჟვაძემ სხდომაზე განაცხადა, რომ აჭარის 2023 წლის ბიუჯეტში განსაკუთრებული აქცენტი განათლებასა და სტუდენტებზე კეთდება. გრძელდება კულტურის მიზნობრივი მხარდაჭერა. გაიზარდა არსებული პროგრამების დაფინანსება.

„დიდი ზრდაა განათლების ბიუჯეტის მიმართულებით. ეს ეხება როგორც ინფრასტრუქტურას, ასევე განათლების პროგრამებს. შეიძლება ითქვას, რომ შემდეგი სამი წლის განმავლობაში არცერთი სკოლა არ დარჩება რეაბილიტაციის გარეშე, აშენდება ახალი სკოლებიც“, - განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

2023 წელს დაგეგმილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საზღვაო აკადემიის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. თორნიკე რიჟვაძემ გააჟღერა ინიციატივა სამინისტროებში სისტემური სტაჟირების დანერგვის შესახებ.

„გამოვდივარ ინიციატივით, რომ ყველა სამინისტროში დაინერგოს სისტემური სტაჟირების პროგრამა. მინდა მოვუწოდო ყველა სამინისტროს, ძალიან მალე უზრუნველვყოთ შესაბამისი კონკურსების გამოცხადება, რაც ყველა ახალგაზრდას მისცემს შესაძლებლობას, შეიძინოს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარები. 1 იანვრიდან უნდა შევძლოთ ამ პროგრამის სრული დატვირთვით ამოქმედება“, - აღნიშნა რეგიონის პირველმა პირმა.



სხდომაზე ყურადღება გამახვილდა აჭარაში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე ექვსივე მუნიციპალიტეტში. ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი მიმდინარეობს. 2023 წელს 150 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის.

თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, ციტრუსის სეზონი აქტიურ ფაზაში შედის, უკვე დაწყებულია სარეალიზაციო შტაბის მუშაობა, იმუშავებს არასტანდარტული მანდარინის სარეალიზაციო ქარხანა. ამჟამად ექსპორტირებულია 1000 ტონაზე მეტი ციტრუსი.

„ბოლო 10 წლის მანძილზე აჭარის ბიუჯეტი გასამმაგებულია და შეადგენს ნახევარ მილიარდ ლარზე მეტს, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, რომ დავგეგმოთ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა ჩვენი რეგიონის მცხოვრებლებისთვის“, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

# დეკორატიული მცენარეების გამოყენება – ურბანულ გარემოსა და ფიტოდიზაინში

**ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა კიდევ ერთ სამუშაო შეხვედრას - „დეკორატიული მცენარეების გამოყენება ურბანულ გარემოში და ფიტოდიზაინში“ უმასპინძლა, რომელიც სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“ გაიმართა**

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას, ბაღის დირექტორმა ირაკლი არჩაიამ ხაზი გაუსვა სპეციალისტთა უფრო მეტი ჩართულობის მნიშვნელობას დეკორატიულ მცენარეთა ურბანულ გარემოში და ფიტოდიზაინში გამოყენების საკითხებში და ამ კუთხით, ბოტანიკური დაწესებულებების და სახელმწიფო პროფილური უწყებების კოორდინირებული მუშაობის ეფექტურობას.



ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების გარდა, შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის, ბათუმის ბულვარის, აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრა ბათუმის ბოტანიკური ბაღის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის უფროს თამაზ სალუქვაძეს.

- დღევანდელ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქში არსებული სამი მონათესავე სამსახურისთვის. ქალაქის ბულვარის, ბოტანიკური ბაღის და ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურებს შორის მჭიდრო კონტაქტები გამოიკვეთა. თანამშრომლობის, თანადგომის ხელი გავუწოდეთ ერთმანეთს და ჩამოვყალიბდით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც, არ გვეგონა, თუ ასე მარტივად გადასაჭრელი იყო. ვისაც რა შესაძლებლობა გვაქვს, ვაკეთებთ ქალაქისათვის. ჩვენს სამსახურს ახალსოფელში სანერგე-სასათბურე მეურნეობა აქვს, სადაც გამოგვყავს ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ყვავილები, ასევე, ხე-მცენარეები დაკალმების პრინციპით. იქ გამოყვანილი ყვავილები გადაეცემა როგორც ბულვარს, ისე - ბოტანიკურ ბაღს. ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა ძალიან დიდი სამსახური გაუწია ქალაქს, 2000 ძირზე მეტი ხე-მცენარე უსასყიდლოდ გადმოგვცა ქალაქის განაშენიანებისათვის, - გვითხრა თამაზ სალუქვაძემ.

„აჭარამ“ კომენტარი სთხოვა, ასევე, ბათუმის ბულვარის დირექტორის მოადგილე სოფიკო გუჯაბიძეს.

- სამუშაო შეხვედრაზე ჩვენ 2 მიმართულებით გვქონდა მოხსენება: დეკორატიული მცენარეების ურბანული განვითარების როლზე ისაუბრა ლანდშაფტის დიზაინერმა, მეორე თემა იყო „ორი ბაღი - ერთი ისტორიით“, რომელიც ბათუმის ბულვარისა და ბოტანიკური ბაღის საერთო ისტორიასა და კავშირებზე მოგვითხრობდა. აღნიშნული კავშირი და თანამშრომლობა დღესაც გრძელდება და ეს სამუშაო შეხვედრა სწორად ამას ასახავდა, - გვითხრა სოფიკო გუჯაბიძემ.

# გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი ნარინჯისფერი კამპანია გრძელდება

***ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭომ, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი ნარინჯისფერი კამპანიის ფარგლებში, უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე აღნიშნა***

სპეციალურად ამ დღისთვის, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლუკა ასათიანის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა ინგლისელი რეჟისორის სარაჰ გავრონის ფილმის „სუფრაჟისტების“ ჩვენება, რომელიც მოგვითხრობს ფემინიზმის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპსა და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლთა რეალურ ისტორიებზე.

ფილმის ჩვენების შემდეგ საბჭოს წევრებმა პირველი ქართველი უფლებადამცველი ქალების ბიოგრაფიის ამსახველი ფლაერები დაარიგეს.

უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა თავიანთ მაისურებზე პირველი ქართველი უფლებადამცველი პარლამენტარი ქალების ფოტოსურათები დაბეჭდეს.

- ჩვენ, გენდერული თანასწორობის საბჭო შევუერთდით 16-დღიან გლობალურ კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს 187 ქვეყანაში 1991 წლიდან აღინიშნება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. წელს მასში საქართველოც ჩაერთო. კამპანიის მესიჯია „ძალადობა არის სისუსტე“. კამპანიაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის საზღვაო აკადემიის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა, - გვითხრა „შშმ ქალთა ალიანსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა დეა ერემაშვილმა.





# ახალგაზრდების ჩართულობა – გარემოსდაცვით საკითხებში

*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, სტუდენტური კონფერენცია „გარემოსდაცვითი განათლება და მდგრადი განვითარება“ გაიმართა*



კონფერენციაზე გამარჯვებულები გამოვლინდნენ, რომელთაც პრიზები გადაეცათ. პირველ ადგილზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მარიამ ფურცხვანიძე და ლალი ბალავაძე გავიდნენ, მეორე ადგილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა გიორგი კავთელაძემ დაიკავა, მესამე ადგილზე კი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ინგა გოგნაძე გავიდა.

ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართულობას გარემოსდაცვით საკითხებში, ასევე, აღნიშნულ პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირებას და შესაძლებლობების წინ წამოწევას.

სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს გარემოსდაცვითი საკითხების შესწავლით დაინტერესებულმა მაგისტრატურის და ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა. მომხსენებლებმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში გარემოსდაცვითი განათლების როლზე ისაუბრეს.

კონფერენცია გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ **(GRF)** ფარგლებში, ჩატარდა.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტს გიორგი ბოლქვაძეს.

- კონფერენციაზე, ჩემი თემა იყო „ნარჩენების მართვის შესაძლებლობები და გამოწვევები“, კერძოდ, კომპოსტირებაზე გავაკეთე პრეზენტაცია. ყველა მომხსენებელმა, რომლებმაც წარვადგინეთ ჩვენი თემები და ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება, შემდგომ ვისაუბრეთ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე, მდგრადი განვითარების მიმართულების უფრო მეტად განვითარებასა და და, თქმა უნდა, სამომავლო თანამშრომლობაზე, - გვითხრა მან.

**გვერდი მოამზადა დარინა გაბაიძემ**

განცხადებები

# მირდატ ქამადაძე: ამ პროცესიდან პარტია გაძლიერებული გამოვა

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

*როგორც ცნობილია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნები ელექტრონულად ჩატარდება. გადაწყვეტილება შიდაპარტიულ შეხვედრაზე მიიღეს. ამის შესახებ გაზეთ „აჭარასთან“ ენმ-ის აჭარის ლიდერმა მირდატ ქამადაძემ ისაუბრა*

*პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს არის დემოკრატიული პროცესი, რომელიც პარტიას კიდევ უფრო გააძლიერებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ისიც აღნიშნა, რომ კრიტიკის მიუხედავად, ოპოზიციურ მხარეს არაერთხელ ჰქონია მმართველ გუნდთან მოლაპარაკების მცდელობა და პოლარიზაციის დასრულების სურვილი, თუმცა, მისივე თქმით, შეუძლებელი აღმოჩნდა იმ ძალასთან საუბარი და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა, რომელიც გადაწყვეტილებებს დაუსაბუთებლად ცვლის და საზოგადოებას ტყუილი დაპირებებით იმედებს უცრუებს. მირდატ ქამადაძე აღნიშნავს, რომ მმართველი გუნდისგან განსხვავებით, საზოგადოებას ენმ კიდევ ერთხელ დაანახებს საკუთარ ძალას გამჭვირვალობის, ღიაობის, მოსახლეობის მეტი ჩართულობის თვალსაზრისით.*

*თავმჯდომარის არჩევნები პარტიაში ნიკა მელიასთან დაპირისპირებულმა ჯგუფმა რამდენიმე კვირის წინ მოითხოვა. ამ პოსტზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მალევე გამოთქვეს ლევან ხაბეიშვილმა და გიორგი მუმლაძემ. პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი და თავმჯდომარე 2015 წლამდე საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.*



> *დღეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე მოვლენები დემოკრატიული პროცესია. მთავარია, ამ მნიშვნელოვანი პროცესიდან პარტია გაძლიერებული გამოვიდეს და არა - დასუსტებული, თუმცა თუ ისე გეგმურად არ ჩატარდა, როგორი მოლოდინიც გვაქვს, არ გამოვრიცხავ, პარტიისთვის საზიანოც იყოს. მნიშვნელოვანია, რომ პროცესები საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გამჭვირვალე, ღია იყოს, ამომრჩევლებიც მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ. ამ შემთხვევაში ეს პარტიისთვის არანაირად არ იქნება დამანგრეველი*

**- ბატონო მირდატ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შიდაპოლიტიკური ცვლილებები, რაც არჩევნების ჩატარებას გულისხმობს, უარყოფითად ხომ არ აისახება პარტიის იმიჯზე?**

- დღეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე მოვლენები დემოკრატიული პროცესია. მთავარია, ამ მნიშვნელოვანი პროცესიდან პარტია გაძლიერებული გამოვიდეს და არა - დასუსტებული, თუმცა თუ ისე გეგმურად არ ჩატარდა, როგორი მოლოდინიც გვაქვს, არ გამოვრიცხავ, პარტიისთვის საზიანოც იყოს. მნიშვნელოვანია, რომ პროცესები საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გამჭვირვალე, ღია იყოს, ამომრჩევლებიც მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ. ამ შემთხვევაში ეს პარტიისთვის არანაირად არ იქნება დამანგრეველი. პირიქით, სწორედ ახლა „ნაციონალურ მოძრაობას“ შანსი აქვს, საზოგადოებას აჩვენოს, ხელისუფლებაში ცვლილების შემდეგ, ოპოზიცია როგორ საარჩევნო სისტემას შექმნის. ისეთ მაღალტექნოლოგიურად უნდა გაიმართოს ეს არჩევნები, რომ უნდა გახდეს ერთგვარი მოდელი იმისა, როგორ საარჩევნო სისტემაზეც უნდა გადავიდეს ქვეყანა. ერთი მხრივ, შესაძლოა, ვილაცები ფიქრობენ, რომ ეს „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმაა, ასეთი აზრი შეიძლება ლოგიკურადაც ჩაითვალოს, მაგრამ სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი ისე ჩატარდება, როგორც დაგეგმილია, ამიტომ, ბუნებრივია, ეს პროცესები ვერავის წისქვილზე დაასხამს წყალს. პარტია გამოვა გაძლიერებული და ჩვენს ამომრჩეველს არ დარჩება კითხვა ღიაობასთან, გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

**- როგორ ემზადებით ამ პროცესებისთვის? იმისთვის, რომ ღიაობა იყოს მაქსიმალურად დაცული?**

- მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე წევრისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფია შექმნილი. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, მინიმუმამდე დაიყვანონ ის მცირედი ხარვეზებიც კი, რაც საარჩევნო პროცესში შეიძლება გამოიკვეთოს.

**- შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის ერთადერთ ძლიერ ოპოზიციურ პარტიად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითვლებოდა და, შესაბამისად, კრიტიკაც „ქართული ოცნების“ მისამართით სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მოდიოდა, თუმცა იქნებ გახსენდებათ „ოცნების“ მიერ წარმატებით განხორციელებული პროექტებიც?**

- ამ ეტაპზე, როდესაც ამდენი უსამართლობა ხდება ქვეყანაში, ჩემთვის უმნიშვნელოა იმ პროექტებზე საუბარი, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ განახორციელა. ისინი ვერასდროს დაიკვეხნიან წარმატებული პროექტებით და წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებით, რადგან ეს არ არის მათი ძლიერი მხარე.

**- თუ გქონიათ მცდელობა, რაღაც დათმობაზე წასულიყავით, პოზიცია-ოპოზიციას შორის შეთანხმებისთვის რომ მიგეღწიათ?**

- როგორ შეიძლება „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად დასხდეთ და რაღაც შეთანხმებას მიაღწიოთ, როდესაც პროპორციულ არჩევნებს დაჰპირდნენ ხალხს და ზუსტად ერთ თვეში სრულიად შეცვალეს საკუთარი გადაწყვეტილება?! რაზე უნდა ილაპარაკო ამის შემდეგ?! შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებითაც „გადააგდეს“ ხალხი... ვისთან შეიძლება დაჯდე და ელაპარაკო?! რაზე უნდა ისაუბრო ადამიანებთან, რომლებმაც მთელი ერი გადააგდეს?! მაგალითი მოვიყვანე, ადამიანმა, ანუ ბიძინა ივანიშვილმა როგორ გადააგდო მთელი ერი და საზოგადოება. ჩვენი მხრიდან რომელ დათმობაზეა საუბარი?! მოგებული არჩევნები წაგვართვეს, ნუგზარ ფუტკარაძის საქმე ისევ თაროზეა შემოდებული. რატომ არ მოჰყვა რეაგირება, რატომ არის ისევ კითხვის ნიშნები?! კიდევ რა დათმობაზე უნდა წავიდეთ?! პოლიტიკაში დათმობა ჩვეულებრივი ამბავია და საუხერხულო არაა, მაგრამ ვერანაირად ვერ შევძლებთ რაიმეს მიღწევას „ქართულ ოცნებასთან“.

## უკრაინა

ნატო განიხილავს უკრაინისთვის Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემების გადაცემის შესაძლებლობას, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბუქარესტში პრესკონფერენციაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, მოკავშირეებმა უკვე მიაწოდეს უკრაინას ყველაზე განვითარებული სისტემები, როგორებიცაა ნორვეგიული NASAMS-ი და გერმანული IRIST-ი. სტოლტენბერგის თქმით, ეს სისტემები მაღალ შედეგებს აჩვენებენ, რაზეც რუსეთის სარაკეტო და დრონების თავდასხმების დროს უკრაინის თავდაცვის ეფექტიანობა მეტყველებს. „ამიტომაა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, აქ მინისტრ კულებას შევხვდეთ, რათა შევძლოთ ერთად, როგორც აქამდე ორმხრივ დონეზე ვაკეთებდით, განვიხილოთ გადაუდებელი საჭიროებები და პასუხი გავცეთ კონკრეტულ მოთხოვნებზე, რომლებსაც უკრაინა ნატოს მოკავშირეებს უგზავნის“, - აღნიშნა ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

* * *

გათავისუფლებულ ქალაქებსა და თემებში, რუსული არმიის უკან დახევის შემდეგ, გვხვდება ოკუპანტების მიერ მოწყობილი წამების კამერები. დადასტურებულია მათ მიერ ჩადენილი ათასობით დანაშაული, მათ შორის, სექსუალური ძალადობის დანაშაული, - ამის შესახებ უკრაინის პირველმა ლედიმ ოლენა ზელენსკამ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, ყველაზე პატარა გოგონა, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა გააუპატიურეს, ოთხი წლისაა, ყველაზე უფროსი მსხვერპლი კი 85 წლის. უკრაინის პირველმა ლედიმ ბრიტანეთის პარლამენტსა და მთავრობას მოუწოდა, უხელმძღვანელონ გლობალურ ძალისხმევას უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დანაშაულისთვის სპეციალური ტრიბუნალის შესაქმნელად, კერძოდ, ხელი შეუწყოს უკრაინის მიერ მომზადებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიღებას სპეციალური ტრიბუნალის შექმნის შესახებ. „ჩვენ გვჭირდება მეტი, ვიდრე, უბრალოდ, გამარჯვება - ჩვენ გვჭირდება სამართლიანობა. გთხოვთ, გახდეთ სამართლიანობის მსოფლიო ლიდერი არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც!“.

* * *

რუსეთის ფედერაციის ჯარებმა, შესაძლოა, უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების მიმართულება გაზარდონ, ამას მოწმობს ის, რომ სარატოვის ოლქში, „ენგელსის“ აეროდრომზე დამატებითი თვითმფრინავები გამოჩნდა, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების წარმომადგენელმა იური იგნატმა განაცხადა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს ბევრი რაკეტა აღარ აქვს - ძირითადად დარჩენილი აქვთ „კალიბრები“, X-101, X-555 ტიპის რაკეტები და „ისკანდერები“. საჰაერო ძალების წარმომადგენლის განცხადებით, რუსული არმიის სამიზნეებად რჩება კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტები, პირველ რიგში, ენერგეტიკული ობიექტები.

* * *

უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალის განცხადებით, ომის მეორე ზამთრის სეზონი ძალიან რთული იქნება. „რუსეთი კვლავ დაბომბავს ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას; მათი მიზანია უკრაინის გაყინვა და უკრაინელი ხალხის მორიგი გენოციდის ჩადენა“, - აღნიშნა შმიგალმა. მისი თქმით, ამჟამად ელექტროენერგია ქვეყნის ყველა რეგიონს მიეწოდება, ხერსონის გარდა. „ამჟამად ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოება მოხმარების საჭიროებების 70%-ს ფარავს“, - აღნიშნა უკრაინის პრემიერმა. „საჰაერო თავდაცვასთან დაკავშირებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესი იყო, პირველ რიგში, თანამედროვე დასავლური სისტემების მიწოდების წყალობით“, - განაცხადა მან. შმიგალის განმარტებით, პრიორიტეტი იყო დამატებითი ელექტროტექნიკის მოპოვებაც. „მხოლოდ ლიეტუვამ 114 ტრანსფორმატორი მოგვცა. სხვა ქვეყნები გამოყოფენ თანხებს და აღჭურვილობას, რათა უკრაინას ზამთრის გადატანაში დაეხმარონ. მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს არა მხოლოდ ევროპა, არამედ აშშ, კანადა და იაპონიაც, - აღნიშნა შმიგალმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

## დმიტრო კულება ითხოვს...

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ განაცხადა, რომ აუცილებელია უკრაინის ნატოში გაწევრიანების განაცხადის განხილვა მანამ, სანამ ის რუსეთის მიერ მის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომს მოიგებს. ამის შესახებ მან ბუქარესტში (სადაც ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ორდღიანი შეხვედრა გუშინ დასრულდა), პრესკონფერენციაზე თქვა.

„ჩვენ ამ ომს მოკავშირეების დახმარებით მოვიგებთ. ჩვენ გავხდებით ნატოს წევრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაფერი უნდა მოხდეს ამ დროიდან ნატოს წევრობის მომენტამდე. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ უნდა დავიწყოთ განხილვა და არ უნდა ვისხდეთ და არაფერი ვაკეთოთ გამარჯვებამდე“, - თქვა კულებამ.

მინისტერიალის დასრულების შემდეგ, ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოკავშირეების უპირველესი ამოცანაა უკრაინის მხარდაჭერა ომში, მისთვის საბრძოლო მასალების, საჭირო აღჭურვილობის და იარაღის მიწოდება. რაც შეეხება ნატოს წევრობას, სტოლტენბერგი ამბობს, რომ განაცხადის განხილვა მხოლოდ ომში გამარჯვების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ამირან გურიელიძე

## უცხოეთი

განსაკუთრებით მივესალმები ჩვენს პარტნიორებს ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, საქართველოდან და მოლდოვის რესპუბლიკიდან. სასიამოვნოა, რომ გხედავთ ყველას აქ. ჩვენი შეხვედრა აჩვენებს ძლიერ და მზარდ თანამშრომლობას ნატოსა და თქვენს ქვეყნებს შორის, - ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ბუქარესტში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში გამართული შეხვედრის წინ განაცხადა, რომელსაც საქართველოს, მოლდოვისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის საგარეო საქმეთა მინისტრებიც ესწრებიან. „დღეს ეს პარტნიორები რუსეთის ზეწოლას განიცდიან. ნატოს მოკავშირეები მოწოდებული არიან, გაზარდონ მხარდაჭერა მათ მიმართ. ეს შეხვედრა არის შესაძლებლობა, განვიხილოთ ჩვენი საერთო უსაფრთხოების პრობლემები, განსაკუთრებით კი სტრატეგიულად მნიშვნელოვან შავი ზღვის რეგიონში“, - აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

* * *

ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბუქარესტში შეხვედრის შემდეგ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელშიც საქართველოს მხარდაჭერაზეც არის საუბარი. განცხადების თანახმად, ნატო ხელახლა ადასტურებს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს. „მტკიცე ერთგულებას ვინარჩუნებთ ალიანსის ღია კარის პოლიტიკისადმი. ჩვენ ხელახლა ვადასტურებთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას და საქართველოსა და უკრაინისადმი ყველა შემდგომ მიღებულ გადაწყვეტილებას“, - წერია განცხადებაში.

* * *

ევროკომისიამ წარადგინა გეგმა, რომელიც დაყადაღებული რუსული აქტივების კონფისკაციას ითვალისწინებს. „ჩვენ დავბლოკეთ რუსეთის ცენტრალური ბანკის 300 მილიარდი ევროს რეზერვები და გავყინეთ რუსი ოლიგარქების 19 მილიარდი ევრო, - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. მისივე თქმით, ევროკავშირი და მისი პარტნიორები მუშაობენ თანხების მართვასა და ინვესტირებაზე. შემოსული თანხა უკრაინაში წავა, რათა ქვეყნისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდეს. ამასთან, ევროკავშირი გამოდის ინიციატივით, გაეროს მხარდაჭერით შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო რუსეთის დანაშაულისა და აგრესიის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით.

* * *

ცივილიზებულ სამყაროს არ სჭირდება ნატო, კრიმინალური ორგანიზაცია, რომლის წევრ ქვეყნებში მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 12% ცხოვრობს, - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა. „თუ, როგორც სტოლტენბერგმა მიანიშნა, ნატო კიევის ფანატიკოსებს ნატოს პერსონალთან ერთად Patriot-ის კომპლექსებს მიაწვდის, ისინი მაშინვე გახდებიან ჩვენი შეიარაღებული ძალების ლეგიტიმური სამიზნე“, - წერს მედვედევი „ტელეგრამის“ არხზე. ნატოს გენერალურმა მდივანმა ბუქარესტში განაცხადა, რომ ალიანსი უკრაინისთვის Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემების გადაცემის შესაძლებლობას განიხილავს.

მოამზადა
ია შველიძემ

# „არც დედამიწას დავტოვებდი და არც დედამიწაზე – საქართველოს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*„სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია, იმდენად სწრაფად, რომ ენა ვერ ასწრებს ყველა მათგანის დროულად გადამუშავებას, შესაბამისი ენობრივი საშუალებების მონახვასა და დამკვიდრებას, ენამ კი უნდა ასახოს არსებული სინამდვილე. ეს აიძულებს ენას „მიიღოს“ უცხო სიტყვები და გამოთქმები. ზოგჯერ უცხო სიტყვების შემოდინება ხელოვნურადაც ხდება, ჩვენი „განათლებისა“ და „ცოდნის“ საჩვენებლად... საბოლოოდ ენა მისაღებს მიიღებს, არმისაღებს - უარყოფს. ამ პროცესში ნათლად აისახება ენისა და ერის ისტორია, მასთან დამოკიდებულებაში - თაობის კულტურა*

***ცნობილი ენათმეცნიერი, მწერალი, სტუდენტთა უსაყვარლესი ლექტორი მამია ფაღავა, უპირველესად, თავისი გამორჩეული ადამიანური თვისებებითა და მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობით იპყრობს ყურადღებას***

*„აკეთე საქმე გულწრფელად, დააფასე სხვისი გაკეთებული“ - ეს მისი ცხოვრების დევიზია, ასე სწამს და ამგვარადაც იქცევა. ამას მისი საქმიანობა ადასტურებს. როგორც მკვლევარმა, დიდი შრომა გასწია ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესასწავლად. თვალსაჩინოა მისი წვლილი ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფისა და კულტურის კომპლექსურ წარმოჩენაში. წიგნებში „შავშური ჩანაწერები“, „მუჰაჯირთა შთამომავლობა“, „ტაოური ჩანაწერები“ საინტერესოდ გადმოგვცემს საველე ექსპედიციების შთაბეჭდილებებს, ნანახსა და განცდილს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობით 1995-2019 წლებში 40-ზე მეტი კომპლექსური ექსპედიცია მოეწყო ჭოროხის „ქვეყნებსა“ და მუჰაჯირთა დასახლებაში. ბატონი მამია ფაღავა სულის ჩამდგმელი, რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორია ბსუ-ის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემული კომპლექსური მონოგრაფიებისა „შავშეთი“ და „კლარჯეთი“. საგულისხმოა ისიც, რომ „კლარჯეთის“ ავტორთა ჯგუფს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ივანე ჯავახიშვილის პრემია მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ქართველოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნებში, მონოგრაფიებსა და კრებულებში მამია ფაღავას არაერთი საყურადღებო გამოკვლევაა წარმოდგენილი.*

*რაოდენ გასახარია, რომ ეს ღვაწლმოსილი, სანიმუშო მეცნიერი, მწერალი და ადამიანი აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას. დღეს ბატონი მამია ფაღავა გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*

**- თქვენს ბიოგრაფიაში რომელიმე მნიშვნელოვან მომენტს თუ გამოჰყოფთ და რატომ?**

- ჩემი ბიოგრაფია, როგორც ყველა მოკვდავის, ერთი მთლიანი ჯაჭვია, თუმცა მასში შეიძლება ზოგიერთი მომენტის გამოყოფა: პირველი შვილის დაბადება, რომლითაც ოჯახი ახალ რელსებზე გადაეწყო... ასევე, სასიამოვნო და დასამახსოვრებელი იყო პირველი წიგნის გამოცემა, სამეცნიერო ხარისხების დაცვა და სხვა ბევრი. ჩემი ბიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მიმაჩნია ის დღე თუ საათი, როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად პირველად ჩავედი ნუკას საყდრის (ჩვენი აზრით - ხანძთის) ეზოში. ეს იყო ამაღლებული წამი ჩვენი ცხოვრებისა: დაღლილები, გასავათებულები, მაგრამ ბედნიერები ვიყავით... სხვა მნიშვნელოვანი მომენტების გახსენებაც შეიძლება.

**- თემა, პრობლემა, რაც ყველაზე მეტად გაღელვებთ?**

- ხვალინდელი დღე მაღელვებს და მაფიქრებს ყველაზე მეტად: როგორ ქვეყანას ვუტოვებთ შვილებს, კულტურას, მეცნიერებას, განათლების სისტემას... ყველაფერს, რითაც ჩვენი ნაღვაწი შეფასდება მომავლის თვალში? მომავალი პირუთვნელი მსაჯულია. დიდი პოეტის გამონათქვამის პერიფრაზს მოვიყვან: მაღელვებს „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა“.

**- ენათმეცნიერი, მწერალი, პროფესორი - ეს თქვენი სტატუსია, კიდევ რით შეავსებდით ამ წარდგინებას?**

- განა ეს ცოტაა? ნეტავი, მართლაც ასე იყოს, რაღა დამატება სჭირდება? კაცმა რომ თქვას, უბრალოდ, მამია ფაღავა არ სჯობს?

**- ყველაზე დიდი ჯილდო, რაც გარგუნეს...**

- ყველაზე დიდი ჯილდო რაც მერგო, ჩემი მშობლების შვილობა და ჩემი ოჯახია, მშობლიური ენისა და ახალგაზრდების მსახურება. ბედნიერი კაცი ვარ, რომ უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ, მისი ნაწილი ვარ და ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს.

**- რა უფრო მნიშვნელოვანია ლიტერატურისათვის - რეალობის ასახვა თუ გამონაგონი?**

- ალბათ, რეალობის ასახვა, თუმცა გამონაგონის გარეშე ლიტერატურა არ არსებობს, მაგრამ ეს უკანასკნელიც რეალობის ასახვას უნდა ემსახურებოდეს...

**- ლიტერატურული კრიტიკა დღეს რატომ ვერ ახდენს ზემოქმედებას ლიტერატურულ პროცესებზე?**

- ძნელი სათქმელია, გარედან ისე ჩანს, რომ ისინი სხვადასხვა გზით მიდიან. არის მეორე უკიდურესობაც, კრიტიკა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების ქებითაა დაკავებული.

**- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?**

- რომელი ერთი დავასახელო? ამ წუთში ლუარსაბი მახსენდება თავისი „ფილოსოფიით“. ეს შეიძლება რამდენიმე დღის წინ ერთ მეგობართან საუბრის გამოძახილიც იყოს.

**- როგორც „ჩვენებურების ქართულის“ აღიარებულ მკვლევარსა და მემატიანეს, რა კითხვები გიჩნდებათ და რა დასკვნებამდე მიდიხართ?**

- ჩემი ცხოვრების დიდი დრო მოვანდომე (კოლეგებთან ერთად) ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფისა და კულტურის კომპლექსურ კვლევას. ჩვენ დიდი სამეცნიერო პროგრამის რამდენიმე ეპიზოდი დავასრულეთ. წინ კიდევ გვაქვს სამუშაო. თუ საშუალება მოგვეცა, ჩემი ხელმძღვანელობით კიდევ ორი პრობლემა მაინც უნდა დავამუშაოთ, რათა ჭოროხის აუზის ერთიანი პორტრეტი შევქმნათ, პირველადი მაინც. პირველი და მთავარი დასკვნაა, რომელზეც ვთანხმდებით, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული ქვეყანა - სპერი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი (მაჭახლითურთ) და აჭარა - მეტყველებით, ფოლკლორითა და ეთნოლოგიით. ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველებას სამხრული მეტყველება ვუწოდეთ, ხოლო მისი დიფერენციაციის შედეგს - სამხრული კილოები. დღეს საშუალება გვაქვს, ვისაუბროთ აჭარულ, შავშურ, კლარჯულ, ტაოურ დიალექტებზე. სამწუხაროდ, არაფერი ვიცით სპერთა ქართულზე... რაც შეეხება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას, იგი განიხილება როგორც სამხრული დიალექტების დამატებით მასალა, რომელიც ავსებს ჩვენს ცოდნას შესაბამისი კილოების შესახებ. საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ: დღეს ისტორიული კლარჯეთის ხატილას ხეობა (ართვინს ზემოთაა) მთლიანად მეთურქულეა. ჩანს, მოსახლეობაც შეცვლილია, ხატილელ მუჰაჯირთა შთამომავლები გაჭირვებით, მაგრამ მაინც საუბრობენ წინაპართა ენაზე. ასევე, კლარჯეთში სოფელი ცოცხობა (ბორჩხის ზემოთაა) მეთურქულეა, ქართულად საუბრობს ცოცხობელ მუჰაჯირთა შთამომავლები. მათი მეტყველება ძვირფასი მასალაა კლარჯული კილოს შესასწავლად. აღარაფერს ვამბობ შავშ, აჭარელ (აქ მხედველობაში გვაქვს აჭარისწყლის ხეობა), ქობულეთელ და ბათუმელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაზე, როგორც შავშური და აჭარული დიალექტების ძვირფას მასალაზე. ბევრი ენობრივი მოვლენა, რაც „დაივიწყა“ დიალექტმა ადგილზე, „ახსოვს“ მუჰაჯირთა ქართულს...

**მოდით, შევთანხმდეთ, ეს ცალკე საუბრის თემაა და სხვა დროისათვის გადავდოთ: კითხვებიც ბევრია, გვაქვს პასუხებიც, პასუხგაუცემელი კითხვებიც, რომლებიც კვლევას მოითხოვს.**

**- „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ბიბლიაა თუ უფრო აღმატებული თავისი კონგენიალობით?**

- „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სულის მხატვრული პორტრეტია შოთას კალმით შექმნილი, ქართველთა უპირველესი წიგნი, ბიბლიაში კიდევ კაცობრიობის ისტორიაა მოთხრობილი „შესაქმედან“ ახალი აღთქმის ეპოქის ჩათვლით... „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერზეა საუბარი, დაკვირვებული მკითხველი ბევრ საჭირო კითხვაზე იპოვის პასუხს. არის შოთას პოემა ქართველი კაცის „ბიბლია“.

**- ნაწარმოები, რომლის ავტორობასაც ისურვებდით?**

- ბავშვობიდან ვკითხულობ, ბოლოს სპეციალობადაც ავირჩიე ფილოლოგობა. ბევრი წიგნი მომწონებია, რომელთა ავტორობას ვისურვებდი, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სურვილია? ამიტომაც იმ დიდი წიგნების ავტორობა მის შემქმნელებს დავუტოვოთ, ჩვენ კიდევ ჩვენით დავკმაყოფილდეთ. განგებამ იმის ნიჭი მოგვცა, რასაც ვაკეთებთ...

**- მწერალი, რომლის გაცოცხლებას ისურვებდით და მასთან ისაუბრებდით?**

- სიამოვნებით ვისაუბრებდი გიორგი მერჩულესთან, შოთა რუსთაველთან, ილიასთან... სხვა ბევრთანაც. ისინი გვესაუბრებიან დღენიადაგ თავიანთი შემოქმედებით, საინტერესო იქნებოდა მათი აზრი თანამედროვე საქართველოზე, ქართველ კაცზე და ქართველთა წუთისოფელზე...

**- წიგნი, რომელიც რადენჯერმე წაიკითხეთ...**

- აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (მიყვარს 1973 წლის გამოცემა). თქვენ ალბათ უფრო მხატვრული ნაწარმოები გაინტერესებდათ და გეუცნაურათ ჩემი პასუხი. თავისუფალ დროს სიამოვნებით ვკითხულობ ქართულ კლასიკურ მემკვიდრეობას, თანამედროვე ავტორებსაც. ერთ ამბავს გაგიმხელთ, ფეხი მოვიტეხე ამ ორი წლის წინ და იმ სამ თვეში, რომელიც სახლში იძულებით გავატარე, ხელახლა გადავიკითხე კონსტანტინე გამსახურდიას, ილიას ტომეულები, აკაკის თხზულებები, მიხეილ ჯავახიშვილის რომანები და წერილები, პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“... კი მაწუხებდა ტრავმა, თუმცა შინაგან კმაყოფილებას ვგრძნობდი, რომ დრო გამოვნახე, ერთხელაც წამეკითხა „ჩემი“ წიგნები.

**- წიგნის სათაური - რამდენად ახდენს ის ზემოქმედებას მკითხველზე, საუკეთესოდ დასათაურებული ნაწარმოებები დაასახელეთ...**

- სათაური წიგნის ორგანული ნაწილია (სათაურის შესახებ თანამედროვე ენათმეცნიერებაში მრავალფეროვანი ლიტერატურაა შექმნილი), როგორც ერთი ჩვენი პროფესორი გვასწავლიდა, კარგი სათაური ზოგ მკითხველს ნაწარმოებში ჩაახედებს, ზოგსაც ნაწარმოებიდან გადმოახედებსო. კარგადაა დასათაურებული ილიას „კაცია ადამიანი?!“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“... სხვაც ბევრი.

**- რომელია უფრო ეფექტური ახალგაზრდის სულიერი განვითარებისათვის - ციფრული თუ ბეჭდური წიგნები?**

- როგორც ძველი თაობის წარმომადგენელი, უპირატესობას ბეჭდურ წიგნებს ვანიჭებ. მიყვარს წიგნით დატვირთული თაროები, თუმცა რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი, ჩვენს ყოფაში ციფრული წიგნები იჭერს დიდ ადგილს, ამის მიზეზი ბევრია, თუნდაც წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების პრობლემები. ერთია, მე რა მირჩევნია, სხვაა რეალობა. მთავარია, ახალგაზრდებმა წიგნი იკითხონ, ცოდნა მიიღონ და ამას ციფრული წიგნით შეძლებს თუ ბეჭდურით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ აქვს.

**- რომელია თქვენი მეთერთმეტე მცნება?**

- აკეთე შენი საქმე გულწრფელად, დააფასე სხვისი გაკეთებული.

**- სიტყვა, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებთ ურთიერთობისას?**

- ბატონო! ქალბატონო! მადლობა!

**- დღეს ქართულ ენაში ბარბარიზმები და სლენგებია მომძლავრებული, „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“, დავივიწყეთ?**

- ენის სიწმინდის დაცვა ყველა თაობის მუდმივი საზრუნავია. არ შეიძლება, წავუყრუოთ ჩვენს ენაში დღეს არსებულ პრობლემებს. პირიქით, მას დანახვა უნდა, სააშკარაოზე გამოტანა და მოგვარება. ჩვენ ინფორმაციულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ინტერნეტის საშუალებით სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია, იმდენად სწრაფად, რომ ენა ვერ ასწრებს ყველა მათგანის დროულად გადამუშავებას, შესაბამისი ენობრივი საშუალებების მონახვასა და დამკვიდრებას, ენამ კი უნდა ასახოს არსებული სინამდვილე. ეს აიძულებს ენას „მიიღოს“ უცხო სიტყვები და გამოთქმები. ზოგჯერ უცხო სიტყვების შემოდინება ხელოვნურადაც ხდება, ჩვენი „განათლებისა“ და „ცოდნის“ საჩვენებლად... საბოლოოდ ენა მისაღებს მიიღებს, არმისაღებს - უარყოფს. ამ პროცესში ნათლად აისახება ენისა და ერის ისტორია, მასთან დამოკიდებულებაში - თაობის კულტურა. ენის სიწმინდისათვის ზრუნვა დიდი თემაა, მუდმივად საზრუნავი...

**- ციფრულ ხანაში ვართ...გადაწყობა თუ ე.წ. გადატვირთვა დროის მოთხოვნაა, მაგრამ ამ პროცესის გონიერად წარმართვა რამდენად სწორად მიმდინარეობს და ვისზე ან რაზეა ეს დამოკიდებული?**

- გეთანხმებით, რომ ციფრულ ხანაში ვცხოვრობთ, აუცილებელია გადაწყობა დროის შესაბამისად. პროცესი მიმდინარეობს ჩვენგან დამოუკიდებლად. ჩვენი სახელმწიფოს, მეცნიერების, განათლების, მწერლობის ვალია, პროცესი სწორად წარმართოს. იცით, რადგანაც ამდენს ვლაპარაკობთ არსებულ გამოწვევებზე, სადღაც პროცესი გონიერად არ/ვერ მიმდინარეობს, ზოგჯერ თვითდინებასაა მიშვებული. რომ გვაწუხებს არსებული რეალობა, ეს კარგის ნიშანია...

**- რომელ დროში არჩევდით ცხოვრებას?**

- მხოლოდ ახლანდელ დროში.

**- სხვა პლანეტაზე რომ იყოს შესაძლებელი წასვლა, დატოვებდით დედამიწას?**

- არა! არც დედამიწას დავტოვებდი და არც დედამიწაზე - საქართველოს.

**- ბუნებიდან რა გიზიდავთ ყველაზე მეტად?**

- მთები მიზიდავს, წვიმა - მიყვარს...

**- ადამიანობის ხარისხის მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე სამეცნიერო ხარისხების და რა არის უმთავრესი, რომ კარგი ადამიანი ვიყოთ?**

- მოყვასის სიყვარული და თავმდაბლობა! ვაკეთოთ ჩვენი საქმე კარგად, ჩუმად და უხმაუროდ.

**- მაინც როდის უნდა ვდუმდეთ და როდის ვიყვიროთ? ხომ არ დადგა დრო ყვირილისა... როცა ძალადობამ იმატა ჩვენს საზოგადოებაში?**

- სათქმელი ჯობია დროულად ვთქვათ. ძალადობა დიდი მანკიერებაა და მის წინააღმდეგ ბრძოლა - აუცილებელი...

**- საჭირბოროტო საკითხებზე ფიქრები რომ მოგეძალებათ, ნუგეშად რა გევლინებათ?**

- ვცდილობ, კარგზე ვიფიქრო, ანდა ჩემი ყოველდღიური საქმით დავკავდე.

**- კითხვა, რომელიც მუდამ თან გსდევთ... ახლა უპასუხებთ?**

- ასაკისა და გამოცდილების მატებასთან ერთად ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა მიგროვდება, ჩანს, ეს ჩვენი ცხოვრების თანმდევია. კითხვებზე პასუხები რომ ვიცოდე, ბედნიერი კაცი ვიქნებოდი და სიამოვნებით ვუპასუხებდი ხმამაღლა, მაგრამ კითხვა კითხვად რჩება...

# „დონ პასკუალე" – ბათუმში, ანუ როგორ ვიმოგზაურეთ ოპერის სამყაროში

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***მეორე წელია, ჩვენი თანაქალაქელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი, მუსიკისმცოდნე ხათუნა მანაგაძე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის თანადგომით, პროექტს „მოგზაურობა მუსიკის სამყაროში" ახორციელებს, რომელიც მომიჯნავე უმაღლეს სასწავლებლებთან შემოქმედებით თანამშრომლობას ითვალისწინებს***




შარშან პროექტში მონაწილეობდნენ უკრაინის, იტალიისა და თურქეთის წარმომადგენლები, რომლის დროსაც გაიმართა ვოკალისტებისა და ინსტრუმენტალისტების არაჩვეულებრივი საღამო. წელს ბათუმში ჩამოვიდნენ ანტვერპენის სამეფო კონსერვატორიის პროფესორი გარი ალან იანკოვსკი, ნეაპოლის კონსერვატორიის პროფესორი მარია ლუიზა ბიგაი, მათთან ერთად - ანტვერპენის, ნეაპოლისა და ვენეციის კონსერვატორიათა სტუდენტები. ამჟამინდელი თანამშრომლობა გაეტანო დონიცეტის ოპერა „დონ პასკუალეს" თეატრალიზებულ დადგმას ითვალისწინებდა.

სულ სამი დღე ჰქონდათ შემსრულებლებს, რეჟისორს, პედაგოგებს სპექტაკლის შეკვრისთვის, მანამდე კი შემსრულებლები პარტიებზე იტალიასა და ბელგიაში დამოუკიდებლად მუშაობდნენ. მათი გაერთიანება ბათუმში სწორედ სამი დღის განმავლობაში შეძლეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვოკალის პედაგოგმა, პროფესორმა თამაზ ცერიაშვილმა და ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ოთარ ქათამაძემ.

სპექტაკლში მთავარი პარტიები შეასრულეს ევანგელოს პაპაევსტათოუმ (ანტვერპენი, ბელგია), სალომე მახათელაშვილმა, ჰაოშიან მამ (ვენეცია, იტალია), ანტონინო სპატარომ (ნეაპოლი, იტალია), ირაკლი ჯინჭარაძემ, მანთიმო დელ ომომ (ნეაპოლი, იტალია), გიორგი გორჯელაძემ.

სპექტაკლში მონაწილეობდა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტი, ცნობილი ბარიტონი ოთარ ნაკაშიძე.

როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგა ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის გუნდი (ქორმაისტერი ლელა დოლიძე), რომელიც უნივერსიტეტის ყველა ღონისძიებაში აქტიურადაა ჩართული. დიდია კონცერტმაისტერების ნინო ნიშნიანიძისა და რუსუდან კვახაძის წვლილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ასევე უნივერსიტეტის სამსახიობო სპეციალობის სტუდენტები დავით მამრიკიშვილი, ლევან თედორაძე, ლუკა ჭეიშვილი.

ეს იყო მხიარული, საყურებლად და მოსასმენად ძალიან სასიამოვნო სპექტაკლი, რომელიც ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო ათერთმეტწლედის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა და მაყურებლის მხურვალე ოვაცია დაიმსახურა.

შთაბეჭდილებები - სპექტაკლის შემდეგ:

**აკაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:**

- ჩვენი სამინისტრო ხელს უწყობს ამ პროექტს, რომელიც კლასიკური მიმართულებით ძალიან საინტერესოა და მისი მოთავეა ხათუნა მანაგაძე. ეს ის სეგმენტია, რომელიც აუცილებელია მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებისთვის და, სამინისტროს საგრანტო პროექტების ფარგლებში, ყოველთვის დავეხმარებით მის განხორციელებაში.

**ბაჩო ნაკაშიძე, სოლისტი:**

- სპეციალურად ჩამოვედი თბილისიდან, რადგან ეს ძალიან სერიოზული პროექტია და მინდოდა, ვყოფილიყავი საყვარელი ადამიანების, ჩემი ქალაქის გვერდით. თამაზ ცერიაშვილი ჩემი აღმზრდელია, ასევე ჩემი ლექტორი იყო ხათუნა მანაგაძე. ამ პროექტში სწორედ ისინი არიან მთლიანად ჩართულები. ჩემი პირველი ნაბიჯები ამ ადამიანებს უკავშირდება, ახლა კი მათთან ვმეგობრობ. კარგი საღამო იყო.

**ინგა ხალვაში, ჟურნალისტი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე:**

- ძალიან კმაყოფილი ვარ სპექტაკლით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ყველაფერი გაკეთდა სამ დღეში. ძალიან საინტერესო და საჭიროა ასეთი გაცვლითი პროექტები - უცხოელი სტუდენტები ჩამოდიან და ჩვენთან ერთად მღერიან. იმათ სხვა სკოლა და გამოცდილება აქვთ, ჩვენ კიდევ - სხვა, ამიტომ ეს კოლაბორაცია გამოცდილების გაზიარებაა. ამას სტუდენტების გაზრდის თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სპექტაკლის მსვლელობისას თვალს ვადევნებდი ბატონ თამაზ ცერიაშვილს, ვხედავდი, როგორ ნერვიულობდა, განიცდიდა. ეს კიდევ ცალკე ერთი ადამიანის სპექტაკლი იყო, რაც საცქერლად ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. საღამოზე გამოჩნდა ისიც, თუ როგორ იზრდებიან ჩვენი შემსრულებლები - სტუდენტები. მადლობა ხათუნა მანაგაძეს, რომელიც ასეთ პროექტებს აკეთებს, მადლობა სამინისტროს და უნივერსიტეტს, რომლებიც ხედავენ ამ შრომას და მას ხელს უწყობენ.

**ანტონინო სპატარო, იტალიელი მონაწილე:**

- ვცხოვრობ და ვსწავლობ ნეაპოლში, კონსერვატორიაში. ძალიან კმაყოფილი, აღფრთოვანებული ვარ აქ ჩამოსვლით, ამ ატმოსფეროთი. ქალაქს ხვალ დავათვალიერებ და უკვე ვიცი, ისიც ლამაზი იქნება.

**რუსიკო კვახაძე, ხელოვნების უნივერსიტეტის საოპერო განყოფილების კონცერტმაისტერი:**

- ასეთი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია. სამი სხვადასხვა კონსერვატორიის სტუდენტი იყო ჩამოსული. ეს დღეები კარგი იყო ურთიერთობებისთვის, დამეგობრებისთვის, გამოცდილების გაზიარებისთვის. ასეთი პროექტებით სტუდენტი ძალიან იზრდება. იმედი მაქვს, კიდევ არაერთი გაცვლითი პროგრამა გვექნება.

**ირაკლი ჯინჭარაძე, აკადემიური სიმღერის სპეციალობის მეორეკურსელი:**

- როგორც იცით, სპექტაკლი ექსპრომტად, სამ დღეში დაიდგა, ლოკაციაც რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ მაინც კარგი გამოვიდა. ოთარ ქათამაძე არის ძალიან ნიჭიერი რეჟისორი, რომელსაც თანამედროვე ხედვა აქვს, შეუძლია, ყველა თაობის ადამიანს მოაწონოს მის მიერ განხორციელებული დადგმა, რაც დღეს მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდები ძალიან შორს არიან კლასიკური მუსიკისგან. რაც შეეხება სტუმარ მომღერლებს, ყველა მომეწონა. ისინი არაერთ პროექტში მონაწილეობდნენ და სამსახიობო გამოცდილებაც მეტი აქვთ. ასეთი პროექტები ჩვენთვის - სახელოვნებო საშემსრულებლო სპეციალობის ახალგაზრდებისთვის გამოცდილების მისაღებად, განვითარებისთვის ძალიან კარგია.

**სალომე მახათელაშვილი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სტაჟიორი:**

- შედგა ჩემი დებიუტი ოპერაში „დონ პასკუალე" ნორინას როლში, არაჩვეულებრივ მომღერლებთან ერთად. სამი ქვეყნიდან არიან მომღერლები და ესეც მნიშვნელოვანი, საკმაოდ საპასუხისმგებლო იყო, ამავდროულად - საინტერესო და სასიამოვნო. მომღერლისთვის აუცილებელია ურთიერთობები სხვა შემსრულებლებთან, მათთან ერთად მუზიცირება. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მსმენელს სპექტაკლი მოეწონა. მადლობა ჩემს ყველა კოლეგას. ირაკლი ჯინჭარაძეს წარმატება მინდა, ვუსურვო.

**ოთარ ქათამაძე, რეჟისორი:**

- თავიდან სივრცის პრობლემა შეგვექმნა, მერე ამ სცენას მოვერგეთ. ამ სამ დღეში რაც შევძელით, მაყურებლის რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, არ იყო ცუდი. სამ დღეში ოპერის დადგმა არაა იოლი, ამიტომ საკონცერტო შესრულება ვარჩიეთ.

ხათუნა მანაგაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც პროექტში რაიმეთი მაინც იყო ჩართული და მათ სერტიფიკატები გადასცა.

# ხელშესახები... ისტორია

**ფიქრია დავლაძე 597 25 25 72**

***ბათუმში გამართულ ფესტივალზე „განდაგანა", რეწვის სხვა სახეობებთან ერთად, „მაჭახელას თოფის" წარმოებაც შეგეძლოთ გეხილათ. მაჭახელაში მცხოვრებ ზაზა ნაგერვაძეს ევროპის მოედანზე ჰქონდა სამჭედლო მოწყობილი და ფესტივალის სტუმრებს თოფისა და სხვა საბრძოლო ნივთების წარმოების კულტურას აზიარებდა***

ახალგაზრდა ხელოსანმა ჩვენთან მაჭახელაში არსებული თოფის წარმოების უძველეს ტრადიციაზე ისაუბრა. ამბობს, რომ მის მიერ შექმნილ საბრძოლო ნივთებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც ყველას გააცნობს და ამით უფრო მეტ პოპულარიზაციას გაუწევს აჭარას.

- უკვე მეორე წელია, რაც ფესტივალ „განდაგანაში" ვმონაწილეობ. სამსჯავროზე გამოვიტანე ჩემი ნაჭედი თოფების რამდენიმე ეგზემპლარი, ასევე სამჭედლო დაზგა, თოფის ჭედვისთვის საჭირო ატრიბუტები და ყველაფერი, რასაც საქმიანობისთვის ვიყენებ. მინდოდა, ვიზიტიორებისთვის მეჩვენებინა, როგორ იჭედება თოფი. ვატარებ მასტერკლასებს, ამით ვაცნობ საზოგადოებას უძველეს ტრადიციას. ეს არის ჩემი საყვარელი საქმიანობა, რომელსაც ბავშვობიდან ვეწევი - წინაპრებისგან ვისწავლე და არცთუ ისე ცუდად გამომდის. კარგად იცით, რომ მაჭახელას ხეობა ცნობილია თოფის წარმოების ისტორიით, მისი ძეგლიც კი დგას ხეობის შესასვლელში. ვალდებული ვარ, ეს საქმე ღირსეულად შევასრულო და კარგი ხარისხის თოფი გამოვჭედო. ჩემი თოფების პოპულარიზაცია 2012 წლიდან დაიწყო. მაჭახელას ცნობილ მუზეუმშიცაა ჩემი ნაჭედი თოფები, რაც მეამაყება. ეს არის საქართველოს ცოცხალი ისტორია, რომელიც აღვადგინე და სიცოცხლე შევძინე. სანამ ვიარსებებ, ეს სფერო არ მოკვდება და არ გაქრება. მინდა გაგიზიაროთ, როგორ მზადდებოდა თოფი. მისი და დამბაჩის ლულები სპეციალურ დაზგაზე მზადდებოდა, რომელსაც თოფის ჩარხი ერქვა. შემდეგ ლულა იხარშებოდა შაბნარევ წყალში, რისთვისაც იყენებდნენ სპილენძის გრძელ ჭურჭელს, რომელსაც ყუბური ერქვა. გამოხარშვა თოფის ლულას დაჟანგვისგან იცავდა, - ამბობს ზაზა ნაგერვაძე.

როგორც ცნობილია, აჭარაში ჩახმახიან თოფებსა და დამბაჩებს რამდენიმე ადგილას ამზადებდნენ, მაგრამ განსაკუთრებით განთქმული მაჭახელას ხეობა იყო. თოფის დამზადების ტრადიცია ყველაზე უკეთ სოფელ ჩხუტუნეთშია შემორჩენილი, სადაც აღნიშნული ხელობის სიყვარული მამიდან შვილს გადაეცემა. განთქმული მჭედლები როგორც ნაგერვაძეები, ასევე ძნელაძე და ქავთარაძეებიც არიან. სწორედ ზემო ჩხუტუნეთში შეიქმნა განთქმული თოფი „მაჭახელა", რომელსაც მაჭახლელებმა ძეგლიც კი დაუდგეს, თავს რომ იწონებს ხეობის შესასვლელში. ისტორიული ცნობებით, მაჭახლის ხეობაში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში იარაღის წარმოება უკვე კარგად განვითარებული იყო. როგორც ხეობის წარმომადგენლები ირწმუნებიან, მაჭახლის იარაღი მთელ ოსმალეთში იყო განთქმული.



## ძაკარდო: არის კიდევ ერთი ქართველი ტალანტი...




Tuttomercatoweb-თან ინტერვიუში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ამჟამად ცნობილმა იტალიელმა აგენტმა, „ნაპოლიში" ხვიჩა კვარაცხელიას ტრანსფერის ერთ-ერთმა მთავარმა შემოქმედმა კრისტიან ძაკარდომ თქვა, რომ თვალი კიდევ ერთ ქართველ ფეხბურთელს დაადგა:

„არის ახალი, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც მზად არის აფეთქებისთვის. საუბარია 2003 წელს დაბადებულ შემტევზე. ძალიან საინტერესო მოთამაშეა. მის სახელს მოგვიანებით გეტყვით, მალე ყველაფერს გაიგებთ".

ვეტერანი ფეხბურთელის ამ კომენტარიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომავალი სეზონიდან სერია A-ში შესაძლოა, კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის იტალიის ჩემპიონატში ორი ქართველი თამაშობს: ხვიჩა კვარაცხელია - „ნაპოლიში" და ლუკა ლოჩოშვილი „კრემონეზეში".

**ამირან გურიელიძე**

# ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

**ქედის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი მომავალ წელს 22 მილიონ 178 800 ლარით განისაზღვრება**



გაისად განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა: 30-ბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა, ხანდაზმულებისთვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მრავალფუნქციური შენობის აგება. დაგეგმილია ნაგავმზიდის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის - ერთი ავტობუსის შეძენა.

საჯარო განხილვაზე მთავარი საფინანსო დოკუმენტის პროექტი ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძესა და მერის პირველ მოადგილე იმედა ვასაძესთან ერთად, საზოგადოებას და მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს წარუდგინა.

ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში მომატებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ხარჯები, ასევე, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების, განათლების, კულტურის, სპორტის, დასუფთავების და გარემოს დაცვის მიმართულებებზე გაწერილი თანხები.

- განხილვაზე გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, უმოკლეს ვადაში შესაბამისი სამსახურები შეისწავლიან და მოკვლეული ინფორმაციის შესაბამისად, აისახება ფინანსურ დოკუმენტში, - აღნიშნა როლანდ ბერიძემ.

# კამპანიას შეუერთდნენ

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღეს, რომელიც წელს 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობს, ქედის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა*



კამპანიის ფარგლებში „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“ სემინარი ჩატარდა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისა და საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის.

ითქვა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა ძალადობის აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით. მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, შეიქმნა დამატებითი საკანონმდებლო გარანტიები ძალადობის მსხვერპლთათვის და გაძლიერდა ინსტიტუციური მექანიზმები.

ქედის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი ახალი მუნიციპალური პროგრამა ამოქმედდა, რომელიც ითვალისწინებს ცნობიერების ამაღლებას, მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთათვის ფინანსურ დახმარებას სტატუსის მოქმედების ვადით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავებას.

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, მხარს ვუჭერთ ძალადობის მსხვერპლებს. ეს საერთო საქმე და საერთო პასუხისმგებლობაა, - გვითხრა მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის ხელმძღვანელმა თეა შარაშიძემ.

# ბიუჯეტის პროექტი განიხილეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

*ხულოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა ზუმის აპლიკაციის მეშვეობით (ონლაინ ფორმატში)*




მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები საზოგადოებას მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ პირველ მოადგილე ნადიმ ვასაძესთან ერთად წარუდგინა.

განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. შეხვედრის მონაწილეების შეკითხვებს ვახტანგ ბერიძემ და ნადიმ ვასაძემ უპასუხეს.

პროექტის თანახმად, 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა და 21 370 000 ლარს შეადგენს.

- ახალ ბიუჯეტში პრიორიტეტად კვლავ ინფრასტრუქტურა, სკოლამდელი განათლება, სოციალური სფერო და ახალგაზრდული მიმართულება რჩება, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

# გამარჯვებული ქედის საჯარო სკოლის გუნდია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ქედაში საჯარო სკოლების იუმორისტულ და საზრიანთა გუნდებს შორის მუნიციპალური შეჯიბრება ჩატარდა*

ასპარეზობაში ქედის, მახუნცეთის, ქვედა მახუნცეთის, ზვარეს, წონიარისის საჯარო სკოლების გუნდები: „რკინის მკვნეტელები“; „ეკლერი“; „მეკობრეები“; „ყაჩაღები“; „ტანკი 862“.

თამაში თანაბარი შესაძლებლობებით და თითოეული გუნდის აქტიურობით წარიმართა. აქედან გამომდინარე, გამარჯვებულის გამოსავლენად სამ გუნდს - „ეკლერს“, „მეკობრეებს“ და „რკინის მკვნეტელებს“ შორის გაიმართა კითხვა-პასუხში შეჯიბრი.

ჟიურის გადაწყვეტილებით, I ადგილი ქედის საჯარო სკოლის გუნდმა „რკინის მკვნეტელებმა“ მოიპოვეს. გამარჯვებულებს თასები და სიგელები გადაეცათ. გუნდს ქუთაისში ერთდღიანი ექსკურსიაც დაუფინანსეს.

დაკომპლექტდა ქედის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აჭარის რეგიონალურ შეჯიბრებაში.

ღონისძიება ქედის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა.



# 6 პროექტი დააფინანსეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*ტაკიძეებელი მარინა ტარიელაძე სერტიფიცირებული პედაგოგია. იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ორ სკოლაში. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასაც აპირებს*

იგი ადგილობრივი კერძის - სინორის დასამზადებელი აპარატის შესაძენად „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ პროგრამაში ჩაერთო. იგი გამონაკლისი არაა. ჭვანელ დარეჯან კილაძეს ტორტის საცხობი აპარატის შეძენა სურს, დაბა შუახევის ცენტრში სილამაზის სალონის მოწყობას აპირებს ინდირა დეკანაძე, თეთრეულის შესაკერი მინისაწარმოს მოწყობას - ჭვანელი ნინო ქათამაძე. ჭრა-კერვა და ქარგვა იტაცებს ჭვანისხეობელ თამუნა ქარცივაძეს... მათი პროექტები დააფინანსეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია მესამედ ახორციელებს პროექტს „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით“, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს. წელს იგი 15000 ლარით განისაზღვრა. ამას დაემატა გაეროს განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი 15000 ლარი.

საკონკურსოდ 24 განაცხადი შევიდა. სპეციალურმა კომისიამ 6 პროექტი ცნო გამარჯვებულად. თითოეული 1000-დან 5000-მდე ლარის ფარგლებში ფინანსდება.

გამარჯვებული პროექტების ავტორებს შეხვდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე... გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებსაც ხელი მოაწერეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, გაეროს განვითარების გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის მიმართულების ხელმძღვანელმა ლელა აქიაშვილმა და გამარჯვებულმა აპლიკანტებმა.

- პროგრამის მიზანია ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, მათი ხელშეწყობა, საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმება და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის ხელმძღვანელმა თამილა ფუტკარაძემ.



# ევროპა უნდა იყოს სივრცე ლისაბონიდან – თბილისამდე



ეს გერმანიაში გამართული შეხვედრების მთავარი სულისკვეთებაა, - განაცხადა გერმანიაში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გუშინ.

„დღეს ჩვენს დელეგაციას შეხვედრები გვქონდა ბუნდესტაგის პრეზიდენტ ბერბელ ბასთან, ევროპის საკითხთა, იურიდიულ საკითხთა, თავდაცვის კომიტეტების თავმჯდომარეებთან. ყველა შეხვედრაზე იგრძნობოდა მთავარი სულისკვეთება. ეს არის ის სულისკვეთება, რომელიც ჩვენმა მოსახლეობამ ცოტა ხნის წინ გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცისგან მოისმინა, როდესაც მან თქვა, რომ ევროპა ეს უნდა იყოს სივრცე ლისაბონიდან - თბილისამდე. ეს განწყობაა ბუნდესტაგის ყველა წარმომადგენელსა და ყველა ფრაქციაში, რომ საქართველო არის ევროპის ნაწილი, ამიტომ საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში არის ის გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად აღსრულდება“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, შეხვედრებზე, რომელსაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია გერმანიის დედაქალაქში მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებთან მართავს, მასპინძელმა მხარემ დადებითად შეაფასა ევროკავშირის წევრობისკენ მიმართული საქართველოს ძალისხმევა და აღინიშნა, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

„ჩვენ გვქონდა საუბარი იმაზე, რომ მნიშვნელოვანია, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს მტკიცე. მომავალ წელს, როდესაც საქმე შეეხება კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას. რაც შეეხება ტექნიკურ პარამეტრებს და სხვადასხვა კრიტერიუმებს, რომელიც საჭირო არის სტატუსისთვის, ამ კრიტერიუმებს საქართველო, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებს, გვაქვს კიდევ 12 რეკომენდაცია, რომლებზეც მიდის მუშაობა, ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე ეს მუშაობა დასრულდეს და შემდეგ უკვე გვქონდეს მოლოდინი, რომ ევროკავშირმა შეაფასოს ჩვენი სამუშაო და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ამირან გურიელიძე

# ბედნიერებაა, იყო შენი ქალაქის რჩეული

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ „ამაგდარის“ წოდება მიანიჭა გამორჩეულ ქობულეთელებს - სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო ქობულეთის სახელმწიფო მუზეუმში და სიგელები და ფასიანი ვაუჩერები გადასცა***



ღონისძიების წამყვანმა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, საფინანსო კომისიის ხელმძღვანელმა თედო ტაკიძემ დარბაზს მოკლედ შეახსენა ამაგდარი ადამიანების - ექიმ ინეზა ქათამაძის, ქობულეთის წყალსადენის თანამშრომლის ოთარ ზოიძის, პედაგოგების - მანანა გაგუას, ნარგიზ ჩელებაძის, მერი ბეჟანიძის, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილის შემოქმედებით დარგში, კაპელის კონსულტანტის, ქორმაისტერ ქეთევან მანელიშვილის მოღვაწეობა.

როგორც აღინიშნა, ქობულეთელები გამოირჩევიან იმ ადამიანების სიყვარულით, რომლებიც ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებიან. მათ რიგებშია მერი ბეჟანიძე.

უთბილესი, სამართლიანი, საქმით გამორჩეული პროფესიონალები გულისხმიერი, ნაღდი ქობულეთელები, მეგობრების და საქმის ერთგულები - ასე დაახასიათეს ოთარ ზოიძე, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი ნარგიზ ჩელებაძე.

ქობულეთში არაერთი ოჯახია, რომლის წევრები წინაპართა საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებენ, ასეთია კაკო გაგუას ოჯახი. მისი ერთ-ერთი წევრის მანანა გაგუასაღზრდილია ის პედაგოგები, რომლებიც ახლა კოლეჯში „ახალი ტალღა“ ასწავლიან.

საუკეთესო ექიმია ინეზა ქათამაძე, რომელიც ქობულეთში დიდი სიყვარულით სარგებლობს.

როგორც წამყვანმა აღნიშნა, ქობულეთის სიამაყეა გულიანი და თბილი ქეთევან მანელიშვილი. შეხვედრაზე მანაც მოიმკო ის სითბო და სიყვარული, რომელსაც წლებია, თავად გასცემს.

- ეს წოდება და იმ ადამიანებთან ყოფნა, რომლებიც მიყვარს, ძალიან მიხარია. ჩემი წინსვლა ციალა კაკალაძის დამსახურებაა. როცა საქართველოს კულტურის იმდროინდელი მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი ქობულეთში იყო ჩამოსული, სწორედ ქალბატონმა ციალამ მიმიყვანა მასთან ჩემი გუნდით. მინისტრს მოეწონა და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ მუსიკას გავყოლოდი. ჩავაბარე კიდეც კონსერვატორიაში. მიყვარს ადამიანები და ბედნიერი ვარ, მათაც რომ ვუყვარვარ და ქალაქის რჩეულად გასახელებენ, - გვითხრა ქეთევან მანელიშვილმა.

- ეს ღონისძიება ყოველწლიურად იმართება და მიზნად ისახავს ამაგდარი ადამიანების დაჯილდოებას, მათი ღვაწლის დაფასებას, მოფერებას. თითოეულ მათგანს ვულოცავ, - გვითხრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსმა ნათია ნიჟარაძემ.

- დღეს მადლიერება გამოვხატეთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც აგრძელებენ ქობულეთელთა დიდ ტრადიციებს. განსაკუთრებით ეს ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვისაა მნიშვნელოვანი, რადგანაც საუკეთესო მაგალითია, - თქვა ქობულეთის მერის მოადგილე დავით ვერულიძემ.

- ვუერთდები იმ სასიამოვნო განწყობას, რომელიც ამ დარბაზში სუფევს. მიხარია, რომ ქობულეთელები ასე აფასებენ თავიანთ თანაქალაქელებს. ჩვენ ვამაყობთ ქობულეთით, გვიყვარს და გვიხარია მისი წარმატება, ვფიქრობ, ყველაზე დიდი ჯილდოა, იყო შენი ქალაქის ღირსეული მოქალაქე. ვულოცავ ამაგდარ ადამიანებს ამ წოდებას, - აღნიშნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა.

# „თექის ხელოვნება საქართველოში“

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

***ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში გამოფენების სერია გრძელდება***



ამჯერად მუზეუმი გვთავაზობს გამოფენას „თექის ხელოვნება საქართველოში“, რომელზეც აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის პროფესიული პროგრამის მსმენელებმა პირველად წარმოადგინეს მათი თექის ნამუშევრები და აქსესუარები. გამოფენილმა ნიმუშებმა საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. აღინიშნა, რომ გამოფენის ფერადოვნება, სილამაზე და მრავალფეროვნება პროგრამის ხელმძღვანელ მზია ბუილიშვილის დამსახურებაა. დამთვალიერებელს ადგილზევე შეუძლია დაესწროს თექის დამუშავების მასტერკლასებს.

ნობელების მუზეუმში წარმოდგენილია მარინა ჩახვაძის ნამუშევრებიც. იგი არც ისე დიდი ხანია, რაც ეუფლება თექის დამუშავების ხელოვნებას. ამბობს, რომ პედაგოგმა მზია ბუილიშვილმა დიდი სტიმული მისცა და მოტივაცია შემატა ახალბედა მოსწავლეს.

- ახლახან დავეუფლე თექაზე მუშაობის ხელოვნებას და ჩემთვის უფრო და უფრო საინტერესო ხდება იგი. თავისუფალ დროს სიამოვნებით ვქმნი სხვადასხვა ნივთს. სამი შვილი მყავს და სრულიად განსხვავებულ სფეროში ვარ დასაქმებული. ყოველთვის მქონდა დიდი სურვილი, ჩემს შინაგან სამყაროსთან ახლოს ყოფილიყო საქმე, რომელსაც ძალდაუტანებლად, დიდი მონდომებით გავაკეთებდი. საშუალება მომეცა, მესწავლა თექაზე მუშაობა, რაც ჩემთვის სიახლეა. მინდა, მომავალში გავაგრძელო ეს საქმიანობა. მადლობა უნდა გადავუხადო აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას და რა თქმა უნდა, ბათუმის ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმს ამ გამოწვევისთვის. როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი მეგობრებისთვის ეს პირველია და მიხარია, რომ მოტივაცია გაგვიასმაგდა. სამომავლოდ ვგეგმავ, ამ სფეროში მეტად დავიხვეწო. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს შესასწავლი. თავად პროცესი იმდენად საინტერესოა, დრო სწრაფად გადის. მინდა თექაზე მუშაობა დამატებითი შემოსავლის წყაროდ ვაქციო, - ამბობს მარინა ჩახვაძე.

აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე მოსწავლეები ოსტატდებიან: მატყლის სახეობების აღწერაში, მატყლის დაფენაში სიბრტყეზე, მატყლის თელვაში სველი და მშრალი მეთოდებით, მხატვრული თექის ნაწარმის ესკიზის შექმნაში, ესკიზის მიხედვით თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადებაში. სწავლის ხანგრძლივობა 18 კვირაა. მსმენელთა სწავლებას ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ აფინანსებს. კურსდამთავრებულები მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

# შეხვედრა დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან

***სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი კოკა კაციტაძე მოადგილეებთან - გიორგი კვარაცხელიასთან და ნათია სონღულაშვილთან ერთად დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ანე ტოფტ სორენსენს შეხვდა***



ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს. უწყების პრესსამსახურის ცნობით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის უფროსმა სამსახურის ფუნქციებზე ისაუბრა და ვრცლად მიმოიხილა ის ამოცანები და მიზნები, რასაც დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახური ემსახურება, ასევე ელჩს განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო.

შეხვედრაზე მხარეები დანიის საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელ სამსახურთან (The Police Complaints Authority in Denmark) მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე შეთანხმდნენ, ასევე, ისაუბრეს კონკრეტული მიმართულებებით თანამშრომლობის განვითარებაზე, მათ შორის, გამომძიებლების სასწავლო მიზნებისთვის სამუშაო ვიზიტების გაცვლის შესაძლებლობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტის - „სტრატეგიული ჩარჩო: დანიის პარტნიორობა აღმოსავლეთ სამეზობლოსთან 2022-26“ მნიშვნელობას დაეთმო, სადაც განსაზღვრული სამი პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთი ქვემიმართულება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ეხება.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ხაზი გაუსვა პოლიციის დამოუკიდებელი საჩივრების ორგანოთა ქსელში (Independent Police Complaints Authorities' Network / IPCAN), ასევე შიდა საგამოძებო ქსელში (Internal Criminal Investigations Network /ICIN) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაწევრიანების საკითხს.

კოკა კაციტაძემ ანე ტოფტ სორენსენს დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნა მიულოცა და თანამშრომლობის მზაობისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელი ანა ქუთათელაძე ესწრებოდა.

**ამირან გურიელიძე**

# „დრიფტიც“ დასჯადი გახდება...

***სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ხმაური ნორმებს აღემატება, დაჯარიმებას და მართვის მოწმობის ქულების დაკლებას გამოიწვევს. დასჯადი ხდება ეგრეთ წოდებული დრიფტიც***

პარლამენტმა მესამე მოსმენით, 77 ხმით, მიიღო კანონპროექტები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც საგზაო უსაფრთხოების საკითხებს შეეხება.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა პლენარულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ წარადგინა.

მისი თქმით, მეორე მოსმენის შემდეგ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტში მხოლოდ რედაქციული ხასიათის შენიშვნები განხორციელდა. კერძოდ, ცვლილებების ნაწილი სიჩქარის გადაჭარბებისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ზრდას შეეხება. ცვლილებები შეეხება ხმაურის რეგულირების საკითხსაც. მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება ხმაურის დასაშვები დონე და ისეთი სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაური აღემატება დადგენილ ნორმებს, გამოიწვევს დაჯარიმებას და მართვის მოწმობის ქულების დაკლებას.

დაჯარიმებას გამოიწვევს ასევე განზრახ მოცურება/მოსრიალება ან/და მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელება - ე. წ. დრიფტი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებულ პროფესიულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისას. კანონპროექტი დამუქებული მინების და ციმციმა სიგნალების დადგენილი წესის დარღვევით გამოყენებასაც შეეხება.

კანონი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს ამოქმედდება, ხოლო ხმაურთან დაკავშირებული რეგულაციები ძალაში 2024 წლის 1-ელი იანვრიდან შევა.

**ამირან გურიელიძე**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/11/22, 21 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „დიდებული შოუმენი“ – ახალგაზრდული თეატრის პრემიერა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ახალგაზრდულმა მუსიკალურმა თეატრმა „დიდებული შოუმენის“ პრემიერა შემოგვთავაზა*

სასიამოვნოა, როცა ღონისძიებას ბევრი მაყურებელი ესწრება. ამ მუსიკალურ შოუზე ახალგაზრდობა სჭარბობდა. მათი მოლოდინი გამართლდა - სპექტაკლი ფერადი, კაშკაშა, სასიამოვნო გამოვიდა. იგი ეფუძნება ფილმის „შოუმენი“ სიუჟეტს, რომელშიც გადმოცემულია მისტიკის ოსტატის, ამერიკელი მეწარმის ცხოვრება. მან თავისი ოსტატობით შეძლო წარმატების მოპოვება, აქაც, როგორც ფილმში, ისე შეიკრიბნენ მოცეკვავეები და მომღერლები და ერთად წარმოადგინეს დიდი სანახაობრივი შოუ. ათი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომერი შესთავაზეს მონაწილეებმა მაყურებელს. სპექტაკლს, მომღერლებთან ერთად, ხიბლი შესძინეს ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა „პლატინა“ (მალხაზ ირემაძე - სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, ქორეოგრაფი, ჯგუფი „პლატინას“ ხელძღვანელი და ამავდროულად, მონაწილე) და ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის აღსაზრდელებმა (პედაგოგი ეკატერინე ღლონტი). უკვე გამოცდილ სოლისტებს ტოლი არ დაუდეს ახალგაზრდებმა (პედაგოგი და ქორმაისტერი მანანა ჩაუშბა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ შამილაძე).



სპექტაკლი გულთბილად მიიღო მაყურებელმა. როგორც მალხაზ ირემაძემ აღნიშნა, როცა „პლატინას“ სპექტაკლში მონაწილეობა შესთავაზეს, ძალიან გაუხარდათ და ყველაფერი გააკეთეს, რომ იგი სანახაობრივი გამოსულიყო. „პლატინა“ ბათუმური ჯგუფია, რომელიც 15 წელზე მეტია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ისინი ცეცხლოვანი შოუთი არაერთ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ.

ერთ-ერთი სოლისტი პაატა ფაცია, ახალგაზრდულ თეატრში 1995 წლიდან მღერის.

- რეპერტუარში თეატრს ასეთი სანახაობრივი, მრავალფეროვანი სპექტაკლი ცოტა ჰქონდა. ამდენად, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, ქორეოგრაფიაშიც მოვსინჯეთ ძალები, რამდენიმე მომღერლის დებიუტიც შედგა, სამომავლოდაც კარგი გეგმები გვაქვს, ვნახოთ, როგორ გამოგვივა, - გვითხრა პაატა ფაციამ.

სპექტაკლის შემდეგ, რომელიც დარბაზმა გულთბილად მიიღო, მისი თითოეული მონაწილე ერთხმად აღნიშნავდა, რომ სიამოვნებით იმუშავეს და ყველაფერი გააკეთეს, რომ სპექტაკლი საინტერესო გამოსულიყო. ლაზერულმა, ცეცხლოვანმა შოუმ სანახაობრივად კიდევ უფრო დაამშვენა იგი.

- მანანა ჩაუშბას იდეით დაიდგა სპექტაკლი. ზაფხულში დავიწყეთ მუშაობა. რეჟისორად მოივიწვიეთ მალხაზ ირემაძე, რომელსაც მოცეკვავეებთან მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. ვფიქრობ, კარგი გამოვიდა, - აღნიშნა თენგიზ შამილაძემ.

ბათუმში ახალგაზრდული თეატრი 2003 წლიდან არსებობს და არაერთი საინტერესო დადგმით წარსდგა მაყურებლის წინაშე. მათ შორისაა „რომეო და ჯულიეტა“, „ნოტერდამი“, „სუპერსტარი“, „თავფარავნელის ბალადა“...

ახალ სპექტაკლში მონაწილეობს თეატრის ახალი და ძველი თაობა, სოლისტები და გუნდის მსახიობები - თეა გელოვანი, პაატა ფაცია, ირაკლი გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, ნინო კახიძე, მარიანა ჩაუშბა, მარიამ ძნელაძე, ნატალია ფრუიძე, გია დიასამიძე, მარიამ კახიძე, ნუკრი ბერიძე, ანრი თურმანიძე, შაკო მიქაძე, ლარგო ბოლქვაძე, ნინო ხალვაში, ნინო კონცელიძე, ქრისტინა კალანდაძე, მარიამ დევაძე, ანრი გუჩმანიძე, დავით აბესლამიძე.

# „აჭარელი მოხუცები“ ანუ სპექტაკლი, რომელმაც ფესტივალის მთავარი პრიზი დაიმსახურა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლის თეატრალურმა დასმა „გამოძახილი ხიხანიდან“ საყმაწვილო სასკოლო თეატრალურ ფესტივალზე „პირველი ავტოგრაფი“ წარმოსადგენად, ვფიქრობ, მათთვის ყველაზე ახლობელი და მომგებიანი თემატიკა შეარჩია. სპექტაკლი, ფაქტობრივად, მაღალმთიანი სოფლის მკვიდრთა სინამდვილის ერთი პატარა ფრაგმენტია, სადაც განზოგადებულია აქაურთა სევდა და ტკივილი - ერთ დროს სიცოცხლით სავსე, აყვავებული სოფლების დაცარიელებისა, ახალგაზრდებისგან დაცლისა და მარტოდ დარჩენილი მოხუცებისა, რომლებიც ერთმანეთს ანუგეშებენ და ცდილობენ მხნეობის, ხალისის შენარჩუნებას.



სპექტაკლში მოთხრობილი ამბის სადემონსტრაციოდ ზედგამოჭრილი გამოდგა ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთი პავილიონი, რომელიც სწორედ აჭარული სოფლის მკვიდრთა საცხოვრებელს ასახავს. მუზეუმის „ოთახს“, ბუნებრივია, კულისები არ აქვს, ამიტომ პერსონაჟები მაყურებლის „დარბაზის“ გავლით მიდიან „სცენამდე“. პირველივე მონაწილის მოხუცისთვის დამახასიათებელი სიარულით და ხველებით (სპექტაკლის გმირი შეუძლოდაა) შემოსვლა იმდენად ბუნებრივი იყო, იფიქრებდით, სტუმრად ვარ მთაში და მეზობელი შემოვიდაო.

მარტო მცხოვრებ მოხუცს ორი, დაახლოებით მისივე ასაკის, თანასოფლელი მოინახულებს. მოსაკითხსაც მიართმევს, გუნება-განწყობასაც აუმაღლებს, სუფრათან წამოასკუპებს, „გამოსაჯანმრთელებლად“ არაყსაც გადააკვრევინებს და შემდეგ ეს სამი საყვარელი ჭარმაგი კაცი ერთმანეთს ეჯიბრება აჭარული ცეკვის ძველებური ილეთების ჩახვევა-ჩახუჭუჭებაში. ეს მრავლისმთქმელი სცენა იმდენად ნამდვილია და შემსრულებელთა გულწრფელი დამოკიდებულებითაა გაჯერებული, რომ ბევრ მაყურებელს თვალიდან ცრემლიც გადმოუგორდა. აჭარელი გლეხების ამ „მხიარულებაში“ იკითხებოდა უდიდესი სევდაც, ცხოვრებასთან ჭიდილიც, არდანებების სიმამაცეც, ქართველი კაცის სულის სიმაღლეც და რაც მთავარია, ცხოვრების სიყვარული.

სამივე შემსრულებლის მანერები, ხმის ტემბრი და კილო სპექტაკლის ბოლომდე გარდასახვით მიღწეულ ყალიბშია, არ ირღვევა სპექტაკლის რიტმი და მაყურებლის ყურადღებაც და გულიც სცენასაა მიჯაჭვული.

სპექტაკლის რეჟისორიც და ყმაწვილი მსახიობების მიერ საკუთარი ბაბუების შესახებ მოთხრობილი ამბის მიხედვით ინსცენირების ავტორიც ხიხაძირის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ნანა ხალვაშია, რომელმაც შესაბამისი განათლების არქონის მიუხედავად მოახერხა მეთორმეტეკლასელი ბიჭების ინდივიდუალური არტისტიზმის სწორ კალაპოტში ისე მოქცევა, რომ წარმოდგენაში არც მანერულობის, არც რიტორიკის თუ პათეტიკის ნასახი არ იგრძნობა, დავინახეთ და ვიგრძენით ნამდვილი, ამაღელვებელი პაწია, მაგრამ ბევრის დამტევი ნაწყვეტი მთიელ მხცოვან ადამიანთა ცხოვრებიდან. კარგი იყო იუმორის მცირე ნაპერწკალიც - როცა შვილის მიერ მოყვანილმა ექიმმა სამი მოცეკვავე ბერიკაცის დანახვისას გაოცებულმა წამოიძახა: „ამას ავადმყოფობის რამე არ ეტყობა!“

აი, როლების შემსრულებლებიც, რომლებმაც ასე სასიამოვნოდ გაგვაოცეს და მშობლიურ სკოლაში ფესტივალის მთავარი პრიზი - საუკეთესო სპექტაკლისთვის, ჩაიტანეს: გიორგი გაბაიძე, თენგიზ გაბაიძე, ლაშა გაბაიძე, საბა გაბაიძე, გიორგი გორგაძე, ლუკა გორგაძე.

**მარინა მითაიშვილი**

# როგორ აერთიანებს სიყვარული ძველ და ახალ ეპოქებს

## „ჩხიკვთა ქორწილი“

***მე-20 საჯარო სკოლის თეატრალურმა დასმა „მართვე“ ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული თეატრის „მცირე სცენაზე“ ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილის“ მიხედვით დადგმული მუსიკალური სპექტაკლი წარმოგვიდგინა***

რეჟისორმა გადაწყვიტა სპექტაკლში ვოკალურ ანსამბლ „ივერიას“ ცნობილი იმავე სახელწოდების როკ-ოპერიდან გადმოღებული მუსიკალური ნომრები გამოეყენებინა და ამ სკოლის აღსაზრდელთა ვოკალური შესაძლებლობები წარმოეჩინა. ამგვარად, სპექტაკლის სანახაობრივი მხარე გაემდიდრებინა. ეს მუსიკის თეატრალურ მოქმედებასთან შეამხანაგების პირველი ცდაა ამ სკოლის დასის მხრიდან, ამიტომ ძალიან მკაცრები ვერ ვიქნებით. ვიტყვით იმას, რომ დასის წევრები ნამდვილად ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც რეჟისორის ჩანაფიქრის რეალიზებას, ვფიქრობთ, მომავალში ეს გამოცდილება ნამდვილად გამოადგებათ სხვა საინტერესო სპექტაკლების წარმოსადგენად.

აღსანიშნავია, როგორ მოარგო ამ სპექტაკლის რეჟისორმა ნაირა ავალიანმა ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“ თანამედროვე ციფრულ ეპოქას. სპექტაკლს ჰყავს მთხრობელი, რომლის შესავალ მონოლოგში ჩანს, რომ ასაკოვანი ადამიანი ახალ და ძველ დროს ერთმანეთს ადარებს და ხაზს უსვამს ძველად ადამიანური ურთიერთობების მეტ ემოციურობას და სინამდვილეს, რასთან შედარებითაც ციფრული ეპოქის პირმშო მობილურებით კომუნიკაცია უფერული და ნაკლებად ამაღელვებელია. სწორედ ამ შეხედულების დასამტკიცებლად მოუთხრობს იგი მაყურებელს ჩხიკვების - ქეთევანისა და ზაქარას დაუვიწყარი სიყვარულის ამბავს.

ტყის ბინადართა ცხოვრების დასახატად სპექტაკლში შეყვარებული ჩხიკვების გარდა გვევლინებიან: არწივი, ჩხიკვი თომა, ბუ, ყვავი, ორი წრუწუნა და მოსწავლეთა ექვსეული, რომელიც ტყის ბინადართა გუნდის როლს ასრულებს. საინტერესოა თანამედროვეობასთან დამაკავშირებელი ის პატარ-პატარა მიგნებებიც, რომლებიც სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა სპექტაკლში შემოიტანა: ბოროტი ყვავის მხრიდან ზაქარასთვის „დაბოლილობის“ მიწერა, არწივის განსახილველი საჩივარ-თხოვნებიდან - ბინა-ბუდის სხვა „ქუჩაზე“ გადატანის თხოვნა, მთხრობელის მიერ მოსაყოლი ამბის მობილურში ძიება და ასე შემდეგ.

მე-20 საჯარო სკოლის თეატრალური დასის სპექტაკლში ვოკალურთან ერთად არის



ქორეოგრაფიული სცენები, თუმცა აქ მოქმედებასთან შერწყმული მეტი პლასტიკური მოძრაობის სურვილი ნამდვილად გვრჩება, რასაც მომავალშიც, თუ მუსიკალური სპექტაკლის დადგმის ამბიცია კვლავ ექნებათ, ნამდვილად ველით ამ საყვარელი ნორჩი მსახიობებისგან.

სპექტაკლის დიდ ღირსებად მიგვაჩნია სიმღერების ცოცხლად შესრულება, ცოცხლადვე შესრულებული აკომპანიმენტის ფონზე.

„ჩხიკვთა ქორწილის ინსცენირება და სცენოგრაფია ეკუთვნის ირმა დავითაძეს, მუსიკალური გაფორმება - ლელა ვაშაყმაძეს, რენა მუჯირს, ქორეოგრაფია - სოფო კუპრაძეს, როლებს კი ასრულებენ: ლიზი დავითაძე, მარი დუმბაძე, გიორგი მიქელაძე, დათო მახარაძე, გიორგი ზაქარიაძე, ზალიკო ბერიძე, ლერი ბოლქვაძე, ნიკა ცეცხლაძე, ელენე ბოლქვაძე, ლილე ფიჩხაია, ლუკა ბალაძე, მარი გოგიტიძე, მარი ჯინჭარაძე, ანდრია წითელაძე, ანდრია ფარტენაძე.

**მარინა მითაიშვილი**